ოქმი:**ო31. 3125330001**
თარიღი:**26/11/2025**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის
ოქმი N18

ქ. ლანჩხუთი

26. 11. 2025 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვერიკო კვირკველია, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მაია ლომთაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს ფრაქციის ,,ხალხის ძალა“ თავმჯდომარე დარეჯან ბურჭულაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე.

მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 ივლისის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვერიკო კვირკველია/

3.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ალექსანდრე სარიშვილი/

/თანამომხსენებელი როლანდ ლაშხია/

5.სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი.

მომხრე საკრებულოს 26 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: .„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 ივლისის N20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ.** მან განმარტა, რომ აღნიშნულ ადგენილებაში შეტანილი უნდა იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) დადგენილების 1-ლი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ მუხლი 1

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ქალისა და მამაკაცის თანასწორობისა და ბავშვთა საკითხებზე სისტემური მუშაობისა და საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილ ქალისა და მამაკაცის თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიასთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად, შეიქმნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო.**”**

ბ) დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ მუხლი 2

დამტკიცდეს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს” დებულება დანართი №1-ის შესაბამისად.**”**

გ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს დებულება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი.
მომხრე საკრებულოს 26 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N56 (26.11.2025).

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ვერიკო კვირკველიამ.**

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი.
მომხრე საკრებულოს 26 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N57 (26.11.2025).

დღის წესრიგის მესამე საკითხი: .„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ.** მისი განმარტებით, მიმდინარე წლის ნოემბრის თვის მდგომარეობით ქონების გადასახადის სახით ბიუჯეტში მობილიზებულია 2311303 ლარი, რაც გეგმის 144,5%-ს შეადგენს,

გადაჭარბება ძირითადში გამოწვეულია გაუთვალისწინებელი უცხოურ საწარმოთა ქონების გადასახადის 676200 ლარის შემოსავლის მიღებით, რაც უნდა აისახოს მიმდინარე წლის შემოსავლების გეგმაში, ასევე უნდა გაიზარდოს მიწის იჯარიდან შემოსავალი 5400 ლარით, შემოსავალი სანებართვო მოსაკრებლიდან 13000 ლარით, ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებიდან 3100 ლარით, არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურებიდან შემოსავალი 16500 ლარით, შემოსავლების გეგმის ზრდის გათვალისწინებით უნდა შემცირდეს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადიდან შემოსავალი 76700 ლარით, შემოსავალი მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით

სარგებლობიდან 270000 ლარით, შემოსავლი პროცენტებიდან 50000 ლარით, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი 17401 ლარით, ფინანსური დახმარების გეგმა 400000 ლარით. საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 27 აგვისტოს N1424 განკარგულებით

მუნიციპალიტეტს გამოეყო 2360832 ლარი, 2025 წლის თებერვლის თვეში განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის (კერძო სახლების) კომპენსაციის გაცემის მიზნით. საქართველოს მთავრობის N1207 განკარგულებით მუნიციპალიტეტს გამოეყო 298249 ლარი „მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივის ფარგლებში შერჩეული პროექტების დასაფინანსებლად და მიიმართება: 121108 ლარი მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაციაზე, 177141 ლარი გზების

კაპიტალურ შეკეთების სამუშაოებზე. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრულველყოფის პროგრამის დაფინანსებაზე (დელეგირებული) მიიმართოს მიზნობრივი ტრანსფერი 92323 ლარი, მათ შორის; შრომის ანაზღაურებაზე 4386 ლარი, სოციალურ უზრუნველყოფაზე 87937 ლარი. შემოსული წინადადებების განხილვის შედეგად მიზანშეწონილია განხორციელდეს გადასახდელების დამტკიცებულ ასიგნებების ფარგლებში კორექტირება; კერძოდ, შემცირდეს;

- მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურების ხარჯის დაფარვა (ორგ,კოდი 010203) (ვალუტის კურსის გათვალისწინებით) 3755 ლარით;

- ტურიზმის განვითარების (ორგ.კოდი 010205) ხელშეწყობის დაფინანსება 9900 ლარით;

- წყლის სისტემის (ორგ.კოდი 020201) რეაბილიტაციის დაფინანსება 57546 ლარით;

- წყლის სისტემის (ორგ.კოდი 020202) ექსპლოატაციის საქონელი და მომსახურების მუხლი 22500 ლარით; არაფინანსური აქტივების მუხლი 27000 ლარით;

- გარე განათების (ორგ.კოდი 02030101) ქსელის ექსპლოატაციის სხვა საქონელი და მომსახურების მუხლის დაფინანსება 51010 ლარით;

- მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული (ორგ.კოდი 020401) შენობების ექსპლოატაცია და რეაბილიტაციის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 39000 ლარით;

- საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაციის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 32000 ლარით;

- დასუფთავება და ნარჩენების (ორგ.კოდი 0301) გატანის საქონელი და მომსახურების მუხლი 143140 ლარით,

- მწვანე ნარგავების მოვლა (ორგ.კოდი 0302) პატრონობის სხვა საქონელი და მომსახურების მუხლის დაფინანსება 7000 ლარით;

- განათლების ხელშეწყობის (ორგ.კოდი 0403) სხვა ხარჯების მუხლი 3700 ლარით,

- საფეხბურთო კლუბების (ორგ.კოდი 05010106) ხელშეწყობის დაფინანსება 145000 ლარით;

- სახელოვნებო განათლების (ორგ.კოდი 05020102) ხელშეწყობის შრომის ანაზღაურების მუხლი შემცირდეს 10790 ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 145 ლარით;

- კულტურის ხელშეწყობის (ორგ.კოდი 050202) პროგრამის საქონელი და მომსახურების მუხლის დაფინანსება 5350 ლარით;საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს (ორგ.კოდი 060101) უზრუნველყოფის საქონელი და მომსახურების მუხლის დაფინანსება 24040 ლარით.

-შემცირდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური უზრუნველყოფის მუხლის დაფინანსება 8360 ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 15000 ლარით.

- მუნიციპალიტეტის მერიის შრომის ანაზღაურების მუხლი შემცირდეს 100000 ლარით. ზემოთ აღნიშნული საბიუჯეტო ღონისძიებების დაფინანსება შემცირების ხარჯზე გაიზარდოს შემდეგი საბიუჯეტო ღონისძიებების დაფინანსება კერძოდ.

- მუნიციპალიტეტის საკრებულოს შრომის ანაზღაურების მუხლი 12200 ლარით, სხვა ხარჯების მუხლი 11160 ლარით.

საკრებულოს სხდომას შემოუერთდა საკრებულოს წევრი **თორნიკე მითაიშვილი.**

-წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების არსრულების ფინანსური (ორგ.კოდი 010202) უზრუნველყოფის სხვა ხარჯების დაფინანსების მუხლი 61176 ლარით.

- გზების კაპიტალური (ორგ.კოდი 020101) შეკეთების არაფინანსურის ზრდის მუხლი 198062 ლარით.

- წყლის სისტემის (ორგ.კოდი 020202) ექსპლოატაციის შრომის ანაზღაურების მუხლი 3010 ლარით.

- გარე განათების ქსელის (ორგ.კოდი 02030101) ექსპლოატაციის შრომის ანაზღაურების მუხლი 3710 ლარით, შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურების მუხლი 10100 ლარით.

- სადღესასწაულო (ორგ.კოდი 020603) ღონისძიებების საქონელი და მომსახურების მუხლი 20000 ლარით.

- დასუფთავება და ნარჩენების (ორგ.კოდი 0301) გატანის შრომის ანაზღაურების მუხლი 3180 ლარით, შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურების მუხლი 185000 ლარით.

- მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობის (ორგ.კოდი 0301) შრომის ანაზღაურების მუხლი 5690 ლარით, შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურების მუხლი 19960 ლარით.

- განათლების ხელშეწყობის (ორგ.კოდი 0403) პროგრამის საქონელი და მომსახურების მუხლი 700 ლარით.

- ქალთა სპორტის განვითარების ხელშეწყობა (ორგ.კოდი 05010104) სუბსიდიის მუხლი 25000 ლარით.

- სპორტის ხელშეწყობის (ორგ.კოდი 050102) პროგრამის სხვა ხარჯების მუხლი 5950 ლარით.

- კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების (ორგ.კოდი 05020101) ხელშეწყობის საქონელი და მომსახურების მუხლის დაფინანსება 85500 ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 4500 ლარით.

- სახელოვნებო განათლების (ორგ.კოდი (05020102) ხელშეწყობის საქონელი და მომსახურების მუხლის დაფინანსება 10935 ლარით.

- კულტურის ხელშეწყობის (ორგ.კოდი 050202) პროგრამის სხვა ხარჯების მუხლის დაფინანსება 5600 ლარით.

-ახალგაზრდობის მხარდაჭერის (ორგ.კოდი 0503) პროგრამის სხვა ხარჯების მუხლით დაფინანსება 3000 ლარით.

-საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს (ორგ.კოდი 060101) უზრუნველყოფის შრომის ანაზრაურების მუხლის დაფინანსება 13540 ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 10500 ლარით.

- სოციალური (ორგ.კოდი 060201) პროგარმის 700 ლარით, (ორგ.კოდი 060202) პროგრამის 4500 ლარით, (ორგ,კოდი 060207) პროგრამის 2000 ლარით, (ორგ.კოდი 060208) პროგრამის 4500 ლარით, (ორგ.კოდი 060211) პროგრამის 3000 ლარით,(ორგ.კოდი 060216) პროგრამის 9000 ლარით, (ორგ.კოდი 060219) პროგრამის 1000 ლარით, (ორგ.კოდი 060209) პროგრამის 5400 ლარით, (ორგ.კოდი 060220) პროგრამის 5000 ლარით, დაფინანსების შემცირების ხარჯზე (ჯამი 35100 ლარი) დამატებით დაფინანსება 84000 ლარით გაზრდის გათვალისწინებით გაიზარდოს

სოციალური პროგრამების დაფინანსება კერძოდ: (ორგ.კოდი 060203) პროგრამის 60000 ლარით. (ორგ.კოდი 060210) პროგრამის 10000 ლარით. (ორგ.კოდი 060214) პროგრამის 8000 ლარით. (ორგ.კოდი 060223) პროგრამის 1100 ლარით. (ორგ.კოდი 060224) პროგრამის 40000 ლარით.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ** განმარტა, რომ აღნიშნული საბიუჯეტო ღონისძებების დაფინანსება უნდა აისახოს ბიუჯეტში.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი.
მომხრე საკრებულოს 27 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N(26.11.2025).

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა.** მან განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი განხილული იქნა საკრებულოს კომისიებსა და ფრაქციებში და უკან დაბრუნდა შენიშვნებით და წინადადებებით, რომლებიც გათვალისწინებული იქნება შესაძლებლობიდან გამომდინარე.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი.
მომხრე საკრებულოს 27 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N58 (26.11.2025).

სხვადასხვა საკითხები:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ დღევანდელი დღე მნიშვნელოვანია, როგორც საფეხბურთო კლუბ ,,ლანჩხუთის გურიასთვის", ასევე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისათვის და წარმატებები უსურვა მათ, რასაც შემოუერთდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე** და საკრებულოს სხვა წევრებიც.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს წევრთა
დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

26 ნოემბერი **2025** წელი
12:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ბესიკ ტაბიძე	11 35	
2	ვერიკო კვირკველია	11 58	
3	მაია ლომთაძე	11:20	
4	გიორგი ჩახვაძე	—	
5	გიორგი ხელაძე	11 55	
6	ალექსანდრე მახათაძე	11 35	
7	ზაზა წულაძე	11 55	
8	კარლო კვიტაიშვილი	11 45	
9	გიორგი იმნაიშვილი	11 45	
10	ია მოქია	11.00	
11	დარეჯან ბურჭულაძე	11 40	
12	ლოლიტა ურუშაძე	11 55	
13	ვლადიმერ ნანაძე	11 45	
14	კარლო წილოსანი	11 59	
15	ნინო მშვიდობაძე	11 58	
16	ივანე ებრალიძე	11 50	
17	ირაკლი ცინცაძე	11 50	
18	სპარტაკ კვაჭაძე	11-54	
19	თენგიზ ხუხუნაიშვილი	11 45	
20	გოგი მორჩილაძე	—	
21	ელისო ჭიჭინაძე	—	
22	რევაზ კვერენჩხილაძე	11 58	
23	ირაკლი ტოროტაძე	11.50	

24	ტატო ურუშაძე	11 50	
25	გელა პატეიშვილი	12.-95	
26	თენგიზ ურუშაძე	11.55	
27	ვარლამ ჩხარტიშვილი	12.00	
28	ბესიკი კვაჭანტირაძე	11.00	
29	სამსონ კვაჭაძე	11.20	
30	გოჩა ჯანაშია	—	
31	თორნიკე მითაიშვილი	— 12.07	თ. მითაიშვილი
32	ჯუმბერ ბლაგიძე	—	